ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ოქმი №29

ქ. ახმეტა 28 დეკემბერი, 2018 წელი

თავმჯდომარეობდა:	თამარ ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
სხდომას ესწრებოდნენ:	თ. წითელაური, რ. ბაღაკაშვილი, ბ.ჭიჭიკლიშვილი
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები:	მ. კოხტაშვილი, ა. ბუღრიძე, თ. მგელიაშვილი, მ.ალხანაშვილი, ა. შათირიშვილი, გ. ხუცურაული, ა. მექვევრიშვილი, რ. გახუაშვილი, თ. ბოდაველი, ა. ხიზანაიძე, თ ბორჩაშვილი, ვ. სუხოშვილი, დ. იმერლიშვილი, ლ. უძილაური, ნ. ალავიძე, ლ. ითიურიძე, შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე, თ.მოზაიძე, დ. ავაზაშვილი, ლ. გოგოთიძე, გ. ჭვრიტიძე, გ. ხადიშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი,

სხდომა გაიხსნა 11 ⁰⁰ საათზე

საკრებულოს თავმჯდომარემ თამარ ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის **2018** წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

/ მომხსენებელი - დავით აბულაძე/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - დავით შაშიაშვილი/

5. ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მრეწველები" -ის ფრაქციის შექმნის ცნობის შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის 2018-2022 წლებისათვის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთეკაური/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის **2018** წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი: ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 7901.0 ათას ლარით განისაზღვრა.მ.შ:

1.მუნიციპალიტეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 1795.5 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის:

ა) საშემოსავლო გადასახადის ოდენობა შეადგენს 280,0 ათას ლარს.
ბ) საწარმოთა ქონების გადასახადის ოდენობა შეადგენს 1050,0 ათას ლარს.
გ) სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის ოდენობა შეადგენს 429.5 ათას ლარს.

დ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის ოდენობა შეადგენს 36,0 ათას ლარს.

2. 2018 წლისთვის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 837,0 ათასი ლარის ოდენობით,
ა) შემოსავალი პროცენტიდან შეადგენს 45,0 ათასი ლარს;
ბ)მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შეადგენს 450.0 ათასი ლარს.
გ) შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან შეადგენს 130,0 ათასი ლარს.
დ)სანებართვო მოსაკრებელი შეადგენს 12,0 ათასი ლარს;
ე)ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შეადგენს 20.0 ათასი ლარს.
დ) შემოსავალი სანქციებიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შეადგენს 160,0ათასი ლარს.
ე) შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში(უხურფრუქტი,ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შეადგენს 20,0 ათას ლარს.
3. 2018 წლისთვის გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5118,5 ათასი ლარით, მათ შორის:

მათ-შორის:

ა) გამოთანაბრებითი ტრანსფერი 4988,5 ათასი ლარი.
ბ) მიზნობრივი ტრანსფერი -130.0 ათასი ლარი.
4. 2018 წლისათვის არაფინანსური აქტივების კლებაში საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 150,0ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 7901,5 ათასი ლარით.აქედან:

1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვის ხარჯების ოდენობა შეადგენს 2170.4 ათას ლარს. მათ შორის:
ა) წარმომადგენლობით ორგანოს (საკრებულო) ხარჯები შეადგენს 449,0ათას ლარს.
ბ) აღმასრულებელი ორგანოს (მერია) ხარჯები შეადგენს 1630.7 ათას ლარს.
აქედან:

- აუდიტორული მომსახურებისათვის ხარჯების ოდენობა შეადგენს 4.4 ათას ლარს.

- სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ადგილობრივი ორგანოს დასაფინანსებელი ხარჯების ოდენობა შეადგენს 6.5 ათას ლარს.

გ) სარეზერვო ფონდის ოდენობა შეადგენს 80.0 ათას ლარს.

დ) შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა. შ.) დაკავშირებული ხარჯების ოდენობა შეადგენს - 6.2 ათას ლარს.

ე)ძველი ვალდებულებებისა და-სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული სააღსრულებლო ხარჯებისათვის გათვალისწინრბულია 4,5 ათასი ლარი

2. თავდაცვის ხარჯებისათვის გათვალისწინებულია 86.3 ათასი ლარი.

3. ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის ხარჯებისათვის გათვალისწინებულია 1718,0 ათასი ლარი. მათ შორის:

ა) გზების და ხიდების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა შენახვის ხარჯების ოდენობა შეადგენს 460,0 ათასი ლარს.

ბ) წყლის სისტემის რეაბილიტაციის ხარჯების ოდენობა შეადგენს 45,0 ათას ლარს..

გ) სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა,რეაბილიტაციისათვის ხარჯების ოდენობა შეადგენს 30,0 ათას ლარს.

.ე) გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯების ოდენობა შეადგენს 150,0 ათას ლარს.

ვ) დასუფთავების ღონისძიებების ხარჯების ოდენობა შეადგენს 30,0 ათასი ლარს.(ურნების შეძენა)

ზ) სანიაღვრე არხების მოწყობა 10,0 ათასი ლარს.

თ)ხევების გაწმენდითი სამუშაოების ხარჯის ოდენობა შეადგენს 5,0 ათასი ლარს.

ი) სკვერების,ბორდიურების,დასასვენებელი ბაღებისა და მწვანე ნარგავების მოვლაპატრონობისა და რეაბილიტაციის ხარჯებისათვის გათვალისწინებულია 50,0 ათასი ლარი.

კ) სპეცტექნიკის შეძენის ხარჯების ოდენობა შეადგენს 15,0 ათას ლარს.

ლ) ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრის ხარჯები ოდენობა განსაზღვრულია 300,0 ათასი ლარით.

მ) ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური ხარჯების ოდენობა შეადგენს 440,0 ათას ლარს.

4. საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯებისათვის გათვალისწინებულია 1550,0 ათასი ლარი.აქედან :

ა) (ა(ა)იპი საბავშვო ბაღების ცენტრის) სუბსიდირებისათვის 1420,0 ათასი ლარი.
კაპიტალური ხარჯებისათვის 30,0 ათასი ლარი

ბ)ადგილობრივი სახსრებით (გამგეობის მიერ)გასაწევი კაპიტალური ხარჯებისათის-100,0 ათასი ლარი.

5. კულტურული და სპორტული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 1779,3 ათასი ლარის მათ შორის:

ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ოდენობა - 5,0 ათასი ლარი.

ბ) სტადიონებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის ხარჯების ოდენობა შეადგენს 40,0 ათას ლარს

გ) სპორტული სკოლების შენახვის ხარჯები 573,0 ათასი ლარი. აქედან:

გ.ა) ა(ა)ი.პ. ახმეტის კომპლექსური სპორტსკოლის სუბსიდირებისათვის 172,0 ათასი ლარი..

გ.ბ) ა(ა)ი.პ.ზურაბ ზვიადაურის სახელობის სპორტსკოლის სუბსიდირებისათვის 233,0 ათასი ლარი.

გ.გ) ა(ა)ი.პ.სკოლის გარეშე სპორტული დაწესებულება ახმეტის საფეხბურთო სკოლა ..ბახტრიონი''-ის სუბსიდირებისათვის 168,0 ათასი ლარი.

დ) ა(ა) ი.პ. ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ადმინისტრაციის შენახვის ხარჯები შეადგენს 464,9 ათას ლარს.

ე) საინფორმაციო ცენტრის ხარჯების ოდენობა შეადგენს 40,0 ათას ლარს.

ვ) ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების ხარჯები- 20,0 ათასი ლარს

ზ) სახელოვნებო სკოლების ხარჯებისათვის გათვალისწინებულია- 335,0 ათასი ლარი. მათ შორის:

-სამუსიკო სკოლების გაერთიანების სუბსიდირებისათვის - 137,5 ათასი ლარი.

-ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლის სუბსიდირებისათვის197,5 ათასი ლარი.

თ) ა(ა)ი.პ. ..თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის" შენახვის ხარჯებისათვის გათვალისწინებულია 130,0 ათასი ლარი.

ი) ა(ა)ი.პ. მუნიციპალური ტყეპარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრის შენახვის ხარჯებისათვის გათვალისწინებულია 171,4 ათასი ლარი.

6.სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია 780,0 ათასი ლარი. მათ შორის:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები - 71,6 ათასი ლარი.

ბ) უფასო სასადილოების დაფინანსების ხარჯები- 281,0 ათასი ლარი.

გ) ვეტერანთა სადღესასწაულო, სარიტუალო და სხვა ხარჯები - 4,5 ათასი ლარი.

დ) ავადმყოფთა სოციალური დაცვის ხარჯები - 268,9 ათასი ლარი,

ე) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების ხარჯები 100,0ათასი ლარი,.

ვ) ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ პირთა სოციალური დახმარების ხარჯები - 6,0 ათასი ლარი.

ზ) მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯები - 18,0 ათასი ლარი.

თ) თუშეთის მოსახლეობის ავიარეისით მომსახურების ხარჯების ოდენობა - 30,0 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვა:

შაქრო ტერტერაშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა ბიუჯეტის შედგენის დროს შედეგებზე ვიყოთ ორიენტირებული. ყოველ წელს დიდი თანხები იხარჯება გზების რეაბილიტაციაში შედეგს კი ვერ ვიღებთ.

მომხსენებელმა უპასუხა, რომ მიდის აქტიური მუშაობა ჩვენი ქალაქის სტრატეგიული განვითარებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

23 - მომხრე

2 - წინააღმდეგი

3- მონაწილეობა არ მიიღო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №29 ახმეტის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის პროექტის მიღების საჭიროება გამოიწვია საქართველოს ორგანულ კანონში ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 2017 წლის 12 ნოემბერს ამოქმედებულმა ცვლილებებმა, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონმა და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში დაწყებულმა რეორგანიზაციამ.

პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს საქართველოს ორგანულ კანონთან ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შესაბამისი საკრებულოს ნორმატიული აქტის მიღება.

პროექტის ხედვით:

დებულება შედგება 10 თავისაგან, სადაც დეტალურადაა გაწერილი ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურა, მერიის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები და მუშაობის ორგანიზება.

საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 27 წევრი

22 - მომხრე

2 - წინააღმდეგი

3- მონაწილეობა არ მიიღო

,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №30 ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

/ მომხსენებელი - დავით აბულაძე/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი: მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 28 წევრი

22 - მომხრე

2 – წინააღმდეგი

4- მონაწილეობა არ მიიღო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №31 ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - დავით შაშიაშვილი/

მომხსენებელმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო პროექტი დამტკიცდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა, საჯარო მოსამსახურეთა რანგირება და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები" თანდართული სახით.

საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 27 წევრი

26 - მომხრე

1- წინააღმდეგი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №32 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ;

<u>მოისმინეს:</u> ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები" -ის ფრაქციის შექმნის ცნობის შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

მომხსენებლმა გააცნო საკითხი „ქართული ოცნება - მრეწველები" -ის ფრაქციის შექმნის ცნობის შესახებ, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია თამაზ წითელაური.

საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის 2018-2022 წლებისათვის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთეკაური/

მომხსენებელმა დამსწრე წევრებს გააცნო საკითხი.

პროექტის დანართში დასაზუსტებელი იყო სოფლების ადგილმდებარეობა და დასახელებები.

საკრებულოს დამსწრე წევრებმა დანართი მიიღეს ჩასწორებული სახით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

სხდომას ესწრება 28 წევრი

23 - მომხრე

5 - მონაწილეობა არ მიიღო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №79 ახმეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის 2018-2022 წლებისათვის დამტკიცების შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა, დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს წინადადების დაყენების სურვილი არ გამოუთქვამთ.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 1[30] საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: თამარ ყეინიშვილი